7167
F 75
1921
8.4.300.
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაპერწალი

მცირე-წლოვანთათვის

1921 წ. აპრილი № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელიწადი მე-XVII № 1 თებერვალი 1921 წ.

საქართველოს სახელმ. თბილისის საჯარო ბიბლიოთ.

345

პატარები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I. სურათი პატარებია 1
II. მილოცვა,—ლექსი შიო მღვიმელისა 3
III. პატარა გიგლა,—ი. მჭედლიშვილისა 5
IV. დაკარგული შვილები,—გუგო ნარვილისა 9
V. საახალწლო სიხარული,—ლექსი მიმქრალისა 18
VI. მურზილკას თავგადასავალი,—(შემდეგი) თარგ. ნ. დიასამიძისა 20
VII. ტყის ქათამი,—პ. საყვარელიძისა 27
VIII. ელვა-ქუხილი,—ყ. ჩხეიძისა 29
IX. გასართობი: სურათების მოყვარული 32

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილოცვა.

(ჩემს პატარა მკითხველებს)

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ალღებო, მოგილოცნია
შობა-ახალწელიწადი,
ღმერთმა კარგად აგისრულოთ
ნანატრი და დანაქადი.

თუ წარსულმა გაწყენინათ,
გულნაკლულად დაგსვათ რამით,
ის წავიდა, აღარ არის,
თავის დღით და თავის ჟამით.

ახალს უნდა შევეგებნეთ
ერთის სულით, ერთის გულით:
ავივსნეთ და სხვაც ავავსოთ
ჯეშმარიტის სიყვარულით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენთან ერთად ვმხიარულობ
ტკბილის ცრემლით დანამული,
თქვენთვის თავისუფალია
დღეს სამშობლო და მამული.

ვაშა, ვაშა, თქვენს მომავალს!
გამარჯვება ერის მცველებს!
ნიშნად მათი მადლობისა
დაგიკოცნით ბროლის ხელებს.

შიო მღვიმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა გიგლა.

იგლა სკოლიდან მოდიოდა და თავჩაღუნული თავისთვის უსტვენდა. უცბად მუსიკის ხმა შემოესმა. გიგლამ თვალები აცქვიტა და დაინახა: ჯარი მწყობრად მიდიოდა რუსთაველის პროსპექტის კენ. გიგლამ წიგნები მაგრა დაიჭირა ხელში და გაჰკურცხლა ჯარის კენ. მის აღტაცებას გული ვერ იტევდა: ნაბიჯით მისდევდა ფეხში ჯარს და თვითონაც უსტვენდა „ჩარირამას", რომელსაც მუსიკა უკრავდა.

გიგლას წინაშე ახლა ახალი სანახაობა გადაიშალა. როდესაც ჯარმა დამფუძნებელი კრების წინ გაიარა, გიგლამ თვალი მოჰკრა მშვენიერს, ახოვანს, ათასნაირი ბჭეკრიალა ნივთებით აჭრელებულ შობის ხეს. ერთი მუხლი იფიქრა, სიზმარში ხომ არა ვარო, და შემდეგ მიუბრუნდა შობის ხეს, სადაც მრავალი ბავშვი იდგა და გარს ეხვეოდა. გიგლას სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაავიწყდა ჯარი. მთლად მისი ყურადღება და არსება შობის ხეს დაიპყრო. ისიც ჩაერია თავის ტოლებში და სიხარულისაგან არც ის ახსოვდა, რას ამბობდნენ სხვები, არც კიდევ ის, თუ რას ჩადიოდა თვითონ.

ბოლოს წიგნებმა ძალიან შეაწუხეს და კარგაც შესაფ-ობოდა. იფიქრა: გავიქცევი, წიგნებს სახლში დავტოვებ და უკანვე დავბრუნდებიო. მაგრამ სწორედ ამ დროს აინთო ელე-ქტრონის სინათლეები შობის ხეზე, რამაც შინ წასვლის ფი-ქრი სრულიად გაუფრთხო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტის-მეტად ნასიამოვნები და დაქანცული გიგლა ღამისას მივიდა შინ. დედა გაუჯავრდა: სად იყავ აქამდეო. გიგლამ დაშვიდებით, ამასთანავე გატაცებით უამბო:

—თურმე, დედილო, შობის ხე გაუმართავთ ჩვენი ჯარის კაცების სასარგებლოდ, რომელნიც ომში არიან. ჩემი ბიძია ვახტანგიც ხომ ჯარის კაცია. მე, დედილო, უნდა მიშოვო წინდები და ხელთათმანები, უნდა მომცე ცოტა ჩურჩხელებიც, სოფლიდან რო ჩამოიტანე, დილაზე ადრე წავალ და ჩამოვკიდებ შობის ხეზე.

ამ ლაპარაკზე გიგლას მამაც გამოეხმაურა მეორე ოთახიდან.

—აბა, აქ მოდი, შვილო, მიამბე, რა ნახე!

გიგლამ მასაც აღტაცებით უამბო ეველაფერი.

—მერე წიგნები ალარ უნდა დაიწეო, შე კაი კაცო, ხელში რაღას გიჭირავს!—შენიშნა მამამ გიგლას.

გიგლამ მაშინ იგრძნო ხელში დაბღუჯული წიგნები და სთქვა:

—ასე მეგონა, ისევ იქა ვარ.

როცა გიგლამ გაიხადა და დასამინებლად დაწვა, მამამ ჰკითხა:

—მერე, იცი, შვილო, რად სწირავენ ჯარისკაცებისათვის საჩუქრებს?

—როგორ არ ვიცი, მამა, იქ აგვიხსნეს. აი ჩემი ბიძა ვახტანგიც ხომ ომშია: იქ ცივა, უნდა გაგზავნონ წინდები, ხელთათმანები და ჩურჩხელებიც საახალწლოდ,—დაასრულა გიგლამ.

ცოტა ხნის ხიჩუმის შემდეგ გიგლამ კიდევ ჰკითხა მამას:

—მამა, ომი არის?

—არა.

—მაშ რად არიან იქ ჯარის კაცები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

—იმისათვის, რომ ომი არ იყოს.

გიგლა უცნაურად გაჩუმდა და ცოტა ხანს შემდეგ სთქვა:

—არ მესმის, მამილო, ეს როგორ უნდა იყოს?

—ასეა, შვილო! საქართველოს ისეთი მტერი ჰყავს და საერთოდ მტერი ისეთია, რომ თუ წინ დაუდგები მაგრა, ვეღარ გაჭბედავს ომს, და თუ ჩათლახად დაგინახა, არ დაგინდობს. ჩვენ არ ვომობთ, და თუ სხვა გვეომება, მაშინ ჩვენც, მზად ვიქნებით.

დიდმა სიჩუმემ ჩამოიარა და ბოლოს ძილით დასრულდა იგი.

—

გიგლამ მშვენიერი სიზმარი ნახა.

შობის ხე ათასნაირადა ბრწყინავდა. გარშემო მისი ტოლები სიმღერით დადიოდნენ, ხოლო შორს, მთის მწვერვალებზე, სადარაჯოებზე აქა-იქ კანტი-კუნტად ჰხედავდა მდგომ ჯარის კაცებს, რომელთაც თოვლი უსვად ეცემოდა თავს. ერთ ალაგას ზარბაზანსაც კი მოჰკრა თვალი. მოდარაჯე ჯარის კაცები ისე უძრავად და ეურადღებით იდგნენ, თითქო ეურს უგდებენ ბავშვების სიმღერასაო. გიგლა-კი თავის ტოლებთან განაგრძობდა სიმღერას. მაგრამ უცბათ ჩოჩქოლი ასტეხა ჯარის კაცებში: მათ ხიშტები მოიმარჯვეს და გაიქცნენ წინ. ამ დროს გავარდა კიდეც ზარბაზანი და იმისმა ხმამ გამოაღვიძა გიგლა.

გათენებულიყო.

იგი საჩქაროდ წამოხტა, ჩაიცვა და უთხრა დედას:

—დედა, მომეცი ხელთათმანები, წინდები და ჩურჩხელები.

დედამ დიდი ეურადღებით აუსრულა სურვილი გიგლას და მიუხედავად თხოვნისა, რომ გიგლას ჩაი დაელია, იგი მაინც საჩქაროდ გაიქცა შობის ხისაკენ.

ი. მჭედლიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დაკარგული შვილები.

(ზღაპარი)

I

ალამოვდებოდა. ცაზე ნელ-ნელა ვარსკვლავები ენთებოდნენ და გორის წვერიდან მთვარეშაც ცალი თვალით გადმოიჭყიტა.

ტეის ჰირად, ბუჩქნარით შემოფარგლულ მინდვრიანზე დიდი ჩოჩქოლი იყო. კურდღლების მთელი გროვა ერთ ბუჩქის გარშემო შეკრებილიყო და დაბალი ხმით ლაპარაკობდა. ბუჩქის ძირას, რბილ ბალახზე, დედა კურდღელი იწვა და მწარედ ქვითინებდა. თავთან წამოსკუპებულიყო კურდღელი ულვაშა და ტკბილი სიტყვებით ანუგეშებდა მტირალ კურდღელს, თუმცა თვითონაც ძლივს იკავებდა თვალებზე მომდგარ ცრემლებს. ეტყობოდა, ულვაშა და მტირალი კურდღელი მახლობელი ნათესავები იყვნენ.

ყველანი თითქოს ვიღაცას მოსვლას ელოდნენ...

—ოოხ!..—მოისმა მწარე კვნესა მწოლარე კურდღლისა,—რა უბედური ვარ, რა უბედური!..

—რაშია საქმე?—იკითხა ახლად მოსულმა კურდღელმა, რომელსაც ეურცქვიტას ეძახდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—რაღა რა ამბავია, ეურცქვიტავ,—უპასუხა ულვაშამ ჩვენს კუნტრუშას დღეს ორივე ბაჭია უგზო-უკვლოდ დაეკარგა. საწყალი ელდანაცემი დარბოდა თურმე ტეეში; ეველასთან მისულა საკითხავად: ჩემი ბაჭიები თქვენსა ხომ არ შემოსულან, ან ხომ არ გინახავთო; მაგრამ ბაჭიების მნახველი არავინ აღმოჩნდა. ჩაიულაპნენ, ჩაიულაპნენ!.. ვერც გზა გავიგეთ იმათი და ვერც კვალი. საწყალი კუნტრუშა ჩემთანაც ამოვარდა ზევით, სერზე; ისე იყო დაფეთიანებული, მეგონა, მონადირეები ან ძაღლები თუ მოსდევენ-მეთქი. მაგრამ როცა გავიგე საქმის გარემოება, ვუთხარი: არ მინახავს-მეთქი. ამისი გაგონება იყო და გულიც წაუვიდა საცოდავს. ხან ბალახით ვუღიტინე ცხვირში, ხან ეურზე ვუკბინე და ძლივს მოვიყვანე გონზე. ჩემ ბინაზე წამიყვანეო, ამოიკვნესა საწყალმა და ისევ წამოჯდა. ძლივს ვაი-ვაგლახით მოვაცილე აქამდის, აქედან-კი ველარ იარა, სულ დაეხუთა ფეხები დარდისაგან. განუწყვეტლივ ტიროდა. ისე კვნესოდა, რომ მეშინოდა, გული არ წაუვიდეს-მეთქი. ჩვენმა მეგობრებმა რომ გაიგეს, კუნტრუშა ამა და ამ ველზე მწუხარე წევსო, სულ აქ მოვიდნენ...

—ჭერე და რატომ ტეეში არ მოსძებნეთ, იქნება იქ არიან სადმე?—იკითხა ისევ ეურცქვიტამ.

—ეველგან მოვძებნეთ, ეველგან; მთელი ტეე გადავაქოლეთ, ეველამ თავისი ბინის გარშემო მიდამოები დაეცხავა, მაგრამ ვერ ვიპოვეთ,—უპასუხა ულვაშამ და ნელა ამოიოხრა.—კარგა ხანია სწრაფია გავგზავნეთ წეაროსთან, იქნება იქ ჩავიდნენო, ვიფიქრეთ.

—ეს ეველა კარგი, მაგრამ რატომ ჩემთანაც არ შემოიარეთ ტეის იქით პირას, მაეველებში, იქნება ჩემსკენ ეოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიეკენ. რომ მცოდნოდა, მეც მოვმებნიდი, იქნება იქ არიან ხადმე...—სთქვა ეურცქვიტამ და ულვაშები გაილოკა.

—შენ კი ალარ მოგვაგონდი, ჩემო ეურცქვიტავ!..—წარმოსთქვა გახარებულმა და იმედ-მოცემულმა ულვაშამ,—შენი ჯერიმე, გაიქე, მონახე, დასდე ეს მადლი ამ უბედურ დედას, ორმელ ამ საცოდავს შვილების დაკარგვის დარდი გადაიტანს...

—მონახვით მოვნახავ,—სთქვა ეურების წკაპუნით ეურცქვიტამ,—მაგრამ ჯერ ვნახოთ, რა ამბავს მოიტანს სწრაფია...

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. კურდღლები წეკილ-წეკილად სეირნობდნენ მინდვრიანზე და დაბალი ხმით ლაპარაკობდნენ საწყალ დედის უბედურებაზე.

მთვარე უკვე ამოვიდა. დრო იყო წასვლისა, მაგრამ ეკელას უნდოდა გაეგო, რა ამბავს მოიტანდა სწრაფია. ირგვლივ სიჩუმე იყო, მხოლოდ სადღაც რაღაც მწერის ჯრიალი ისმოდა, რომლის ხმასაც დრო და დრო უერთდებოდა კუნტრუშას მწუხარე კვნესა.

უეცრად მინდვრიანზე წამოიწოწა უცნაურმა ჩრდილმა: ეტეობოდა, ვილაცა უახლოვდებოდა კურდღელთა კრებულს.

—სწრაფიაა!..—დაიძახა ულვაშამ და ეკელამ იქითკენ მიიხედა, საიდანაც სწრაფიას ჩრდილი მოხტუნავდა.

—ივოვე?

—ნახე?..—ჰკითხავდნენ ყოველ მხრიდან მოსულ შიკრიკს, რომელიც დაღლილ-დაქანცული სკუპ-სკუპით მივიდა ბუჩქის ძირთან.

—რა ჰქვენ სწრაფია?..—სუსტი ხმით წაიჩურჩულა კუნტრუშამ და ცრემლით სავსე თვალები დაამტერა ახლად მოსულს ჰასუხის მოლოდინში.

—ეჰ!.. ვერ ვიპოვე!..—წაიბუტბუტა სწრაფიამ და მძიმეთ ამოიქშინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ვაიმე, შვილებო!..—დაიძახა საზარელი ხმით კუნტ-რუშამ, წამოიწია ზეზე, შემოიკრა თათი თავში და დაეცა ბა-ლახზე გულწასული.

—აბა, შენი ჭირიმე,—მივარდა ულვაშა ეურცქვიტას,—გაიქეცი, მონახე, იქნება შენკენ იეკნენ ბაჭიები!..

—მივდივარ, და ესეც იცოდეთ, სანამ ბაჭიებს ან ცოცცხლებს, ან მკვდრებს არ ვიპოვი, არ დავბრუნდები... თუნდაც დავიგვიანო, არ შეგეშინდეთ!..—წამოიეკივირა რიხიანად ეურ-ცქვიტამ და გატეორცნილ ისარივით გაექანა ტეისაკენ...

გულწასულ კუნტრუშას ულიტინეს ცხვირში, სულ დაუ-ხისხლიანეს ეურები კბენით და ძლივს მოაბრუნეს. ეველანი დაიშალნენ, წავიდ-წამოვიდნენ. მხოლოდ ულვაშა-ღა ეჯდა თა-ვით კუნტრუშას და თვალცრემლიანი ისმენდა უბედური დედის კვნესა-წუხილს.

II

მართლაც და რა იქნენ ბაჭიები?

საწყალი კუნტრუშა დილით გასული ტეეში გასასეირნე-ბლად და ნოეიერი ბალახის საჭმელად ბინაზე შუადღისას დაბრუნდა და თავისი ორი ჰატარა, ფუნჩულა ბაჭია იქ არ დაუსვდა.

აუწერელ მდგომარეობაში ჩავარდა დედა! რა' არ იფიქრა! ვინ იცის, მელამ თუ მიაკნო და შეჭამაო, ან თუ გავიდნენ სადმე და ბინას ვეღარ მოაგნესო, ან ქორმა თუ მოიტაცაო... ჭრთი სიტეეით, რას არ ჰფიქრობდა საწყალი ელდანაცემი კუნტრუშა, მაგრამ ნამდვილად აი როგორ მოხდა ეს საქმე.

დავიწყოთ თავიდან.

ჰატარა გორაკზე, დაბალ თხილიანის ძირში, ჰაწია კოხ-ტა სახლი იყო ჩადგმული. ჰაწაწინა ფანჯრები ნაზის ლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილით გადმოსცქეროდნენ ევავილებით მოქარგულ გორაკის სერს და კეკლუცად ბრწყინავდნენ თავისი ვაწაწკინტელა მინებით მზის სხივებზე. ვატარა აივნის კიბე ჩამოდიოდა კოხტა ბაღში, რომელიც ნეკის ოდენა მარგილებით და ვაწია ჯალჯის კონებით იყო შემოფარგლული. სახლის გვერდზე ერთი ბეწო წყარო ნაზის ლიკლიკით მიათამაშებდა თავის კისკისა ტალღებს გორაკის ფერისაკენ და ვატარა ბუჩქნარში იკარგებოდა წყნარი ტიტინით.



აქ ყველაფერი ვაწია იყო: სახლი სულ ორი მტკაველი იყო სიმაღლით და ხალხიც ვატარა სცხოვრობდა. ვის არ უნახავს, ან თუ არ უნახავს, უეჭველია, გაეგონება, რომ ტყეში ვატარა, ქონდრის კაცები სცხოვრობენ, დაბლები, სულ დაბლები, გრძელი წვერებით და ულვაშებით, წოწლოტინა ქუდებით და ტყავის ტანსაცმელით. აი ამ სახლშიაც ორი ქონდრის კაცი სცხოვრობდა. ძმები იყვნენ. ერთს ერქვა რემო, მეორეს კინო. სცხოვრობდნენ რემო და კინო უდარდელად. დილით, როდესაც ამომავალი მზის ვირველი სხივი თხილია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ფოთლებში სწრაფად გაძვრებოდა და ფანჯრის მინაში შეიჭვრიტებოდა, რემო და კინო თვალების ფშვნეტით წამოხტებოდნენ თავიანთ ჰაწია ლოგინებიდან, ხელად ჰირებს დაიბანდნენ წყაროსთან და მერე დილის საუზმეს შეექცეოდნენ. საუზმეს რომ გაათავებდნენ, წამოდგებოდნენ, ჰირჯვარს გადაიწერდნენ და ნელის ნაბიჯით აივანზე გამოვიდოდნენ.

—დღეს სად წავიდეთ, რენო?—ჰკითხავდა ხოლმე კინო თავის ძმას.

—წავიდეთ ჭალისკენ, იქნება რაიმე ფრინველის კვერცხებს წავაწყდეთ,—ეტეოდა ხოლმე რენო და ორივენი ჩავიდოდნენ კიბეზე, გადაივლიდნენ ბალჩას, რომელშიაც ჰაწაწინა ალუბლის და ვაშლის ხეები იდგა, და გასწეკდნენ ჭალისკენ, რომელიც საიდუმლო ჩურჩულით ეგებებოდა მათ.

დღესაც ასე მოიქცნენ რენო და კინო. ჩაიარეს ჭალის ჰირას, გადავიდნენ დიდ წყაროსთან, გადაიარეს ტეის ნაჰირი, მაგრამ სასუსნავი არაფერი შეხვდათ და დაღლილ-დაქანცულებმა დასვენება გადასწყვიტეს.

—წამო, კინო, ბუჩქის ძირას მივსხდეთ; ცოტა დავისვენოთ, თორემ ძალიან დავიღალე,—წამოიძახა რენომ და ჰაწია შუბლიდან თითით ოფლი მოიწურა.

გადავიდნენ ბუჩქნარში და ერთ ბუჩქის ძირას წამოწვნენ. კინომ ამოიღო ჯიბიდან ჰაწკუნტელა მოხარშული კარტოფილები და ის იყო საუზმის საჭმელად მოემზადნენ, რომ მათ უკან რაღაც უცნაური ფაჩუნი მოისმა, თითქოს ვილაცა გორაობსო. კინო და რენო ფეხზე წამოხტნენ და მტრის დასახვედრად ჰატარა დანები მოიმარჯვეს. კინომ ნელა გადაიჭიტა ბუჩქის მეორე მხარეს და გაკვირვებულმა რენოც გადაახედა.

ბუჩქის მეორე მხარეს, დაკიდებულ ტოტების ჩარდახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეშ, რბილ ბალახზე ორი კიკნა, ფუნჩულა ბაჭია ეთამაშებოდა ერთმანეთს. ეტეობოდა, მოსწყენოდათ უსაქმოდ წოლა და ახლა გორაობით და ეშმაკობით ერთობოდნენ.

— მოდი, დავხოცოთ!—წასჩურჩულა კინომ რენოს.

— რისთვის, რა დაგვიშავეს?—ჩურჩულითვე უპასუხა რენომ,—ცოდონი არიან; აბა შეხედე, რა კარგები არიან!..

— რა დროს ეგენია, რამდენი ხანია ხორცი არ მიჭამია!—გაბრაზებით დაისისინა კინომ და ფრთხილად წამოუარა ბაჭიებს.

რენოც მიჰყვა ძმას, თუმცა ძალზე ეცოდებოდნენ პაწია ნადირები. ბაჭიები ძმების დანახვაზე მოიკუნტნენ და გაინაბნენ. ეგონათ, ქონდრის კაცები ვერ დაგვინახავენო, მაგრამ მათი აზრი შემცდარი გამოდგა. კინო სწრაფად მივარდა ერთ ბაჭიას და დანა მოუღერა კიდეც დასაკრავად, მაგრამ რენომ მსლავრად სტაცა მკლავში ხელი და შეაჩერა.

— რას შვრები, კინო, არა გრცხვენიან?!—აღელვებით ჩასძახა ეურში რენომ ძმას,—ამ უმწეო ბაჭიების ცოდოს როგორ იდებ?.. თუ ძალიან გინდა ამათი ხორცის ჭამა, წავიყვანოთ სახლში, გავზარდოთ, გავაშინაუროთ, ესენი კიდევ სხვა ბაჭიებს გაუჩენენ დიდობისას და საშუალოთ გვეყოლებიან შინაური კურდღლები, ხორციც გამოულეველი გვექნება და აღარც ჭალაში წანწალი დაგვჭირდება...

— ჰმ!.. მე შენი არა მესმის რა, რენო,—წარმოსთქვა კინომ წყრომით,—შენ ეველაფერში მეწინააღმდეგები: ეს ასე არ უნდაო, ის ისე არ გააკეთოო, ბაჭიები ცოდინი არიანო... სახლში რომ წავიყვანოთ, ვინ იცის, ამათ გულისთვის რა არ შეგვემთხვევს, იქნება გაგვექცნენ კიდეც და სულ ხახა-მშრალები დავრჩეთ. აქვე კი რომ დავკლათ, სახლამდისაც ადვილად ვატარებთ და, დამერწმუნე, ვერც გაგვექცევიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

—არა, არა!—შეეხვეწა რენო,—თუ გვინდა, რომ არ გვ-
გვექცნენ, იცი, რა ვქნათ...—რენო ცოტასანს დაფიქრდა და
შემდეგ გაბრწყინვებული სახით მიმართა კინოს, რომელსაც
ამ ლაპარაკის დროს ორივე ბაჭიისათვის ეურებში ხელები
მაგრა ჩაეგლო, არ გაშექცნენო.—იცი, თუ გვინდა, რომ არ
გაგვექცნენ, ჩვენი ბალჩა გავაფართოვოთ, ჩვენი სახლის მა-
ხლობლად, თითქის გვერდზე პატარა ფიცრული ქოხი ჩავ-
დგათ და შიგ ვაცხოვროთ ჩვენი ბაჭიები.

—კარგი, კარგი!..—ღიმილით უპასუხა კინომ, რომელ-
საც არ უნდოდა ეწუენინებინა ძმისთვის,—აბა მაშ დროს ნუ
დავკარგავთ, წავიეეანოთ ესენი სახლში; მხოლოდ იმ პირო-
ბით-კი, რომ როცა ამათ დიდობისას პატარა ბაჭიები ეეო-
ლებათ, დავკლათ...

—გეთანხმები,—მიუგო რენომ და ალერსით გადაუსვა ხე-
ლი ბაჭიებს,—რა კარგები არიან, ფუნჩულები, რბილები!

—ამაღამ სად გვეეოლებიან?—ეჭვის კილოთი იკითხა კი-
ნომ,—ერთი სიტეევით, სანამ ამ ვაკბატონებს სასახლეს გა-
მოვუჭიმავდეთ, სად ექნებათ თავშესაფარი, ჰა, რენო?

—სადა და ძირს, სარდაფში, სადაც პურს და კართოფილს
ვინახავთ ხოლმე. იქ მშვენივრად დეეტევიან... პური და კარ-
თოფილი ცალ კუთხეში დავაგროვოთ, და ეველაფერი თავის
რიგზე იქნება.

სთქვა ეს მოხერხებულმა რენომ და ზურგზე მოიკიდა
ერთი ბაჭია, რომლისთვისაც კინოს თავისი ქამრით ფეხები
შეეკრა. კინომ მალე მეორესაც გაუკრა ფეხები, რომ გზაში
არ გაჰქცეოდა, მოიკიდა რენოსავით ზურგზე და ძმები ჩქა-
რის ნაბიჯით გაუდგნენ გზას.

მზე შუა დღეს აჩვენებდა, როდესაც რენო და კინო ბა-

ჭიებით ზურგზე ხვრეშით და ოფლში გაწუწულნი შეუდგნენ თავიანთ გორაკის აღმართს.

კუნტრუშაც სწორედ ამ დროს დაბრუნდა თავის ბინაზე და, რასაკვირველია, თავის ბაჭიებს ვეღარ ნახავდა.

გუგო ნარვილი.

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საახალწლო სიხარული.

ა ლაბაზათ მოგიკაზმავს
თეთრი სუფრა მშვენიერი.
ახლა-კი მწამს, მწამს და მჯერა,
რომ ეოფილხარ ბენდიერი:
    შვილაფერი გქონებია:
ჩურჩხელები, ხილეული...
გოზინაყიც მოგიხარშავს,
ეს კანფეტი, ტკბილეული!..
    გუშინ რადათ წუწუნებდი,
ბირფერობდი განა, ბარო?
—ნუ, დაიკო, ნუ მაუვედრი,
ჩემო კარგო, მზის სადარო!
    ეს წუხელის, როცა ღამით
ჩამეძინა ნაღვლიანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს ოთახში შემოსულა
ვიღაც კაცი ნაბდიანი,
საახალწლო საჩუქრები
დაუწყვია ჩემს სასტუმალს
და პატარა თეთრ ქაღალდზე
დაეწერა ასე სტუმარს:
„მოგილოცავ ახალ წელსა,
ძმური სიყვარულითაო,
რომ ხვალ დილით მიგონებდე
ლოცვით... სიხარულითაო.“
—მართალს ამბობ?!.
—დედას ვფიცავ...
—მო, მაკოცე, გენაცვალე!..
ვიმღეროთ და ვიხტუნაოთ
ჩვენს სუფრასთან დღეს და ხვალე.

მიმკრალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აგარაკის პოვნა და ლაუნ-ტენიხის თამაშობა*).

ამდენიმე დღის შემდეგ ჯუჯა-კაცები ერთ მშვენიერ აგარაკთან მიჯიდნენ. ამ აგარაკს უმშვენებელი და სურნელოვანი ბალი ერტყა. გადასწყვიტეს აქ დაესვენათ.

მოგზაურების ნახევარმა დაიწყო ეკ ვილების ძებნა საცხოვრებლად. სხვები, უფრო ცნობის მოყვარენი, უჩინრად აგარაკში გაიქცნენ, რომ გაეგოთ, ვინ არიან პატრონები. ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდნენ და ბევრი ახალი ამბავი მო-

*) იხ. «ჯეჯილი» 1920 წ., № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტანეს. აგარაკის პატრონი მდიდარი ინგლისელი ეოფილა და ბევრი იშვიათი ნივთი ჰქონია.

—რომ იცოდე, რა თოფები და ხმლები ჰკიდია იმის კაბინეთში!—ეუბნებოდა აღტაცებული თვალწყეტია ტუჩგრძელას.

—რა ბიბლიოთეკა აქვს!—უამბობდა პაპა-წვერა წიგნების მოუვარულ მწიგნობარს.

—იცით, მშობო, აგარაკის პატრონი ექიმი ეოფილა!—შენიშნა ვიცაიამ.

ჯუჯები ერთ მშვენიერ აგარაკთან მივიდნენ.

როდესაც ექიმმა მაზ-პერე-მაზმა გაიგო, რომ აგარაკის პატრონი ექიმია, იმის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

—რა მშვენიერებაა! რა კარგია!—ამბობდა ის და თან ბოლთას სცემდა:—შემიძლიან იმასთან ერთად ავადმყოფებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიარო, რეცეპტების წერა უშველო. იქნება ერთად კონსილიუმიც გავმართოთ რომელსაც ავადმყოფთან.

—ჩემთვის სულ ერთია, ექიმია თუ არა. მე მხოლოდ ის მიხარიან, რომ იმას ბევრი მსხალი, ეურმენი და ქლიავი აქვს. იმედი მაქვს, უარს არ გვეტყვის და გაგვიმასპინძლდება,—შენიშნა ტრიალამ.

—მე კი მგონია, არ გაგვიმასპინძლდება,—გადასწყვიტა სწრაფიამ,—ინგლისელები მუნწი ხალხია.

—სულაც არ არიან მუნწები,—ჩაერია გვერდზე მდგომი დუნ-დუნ-დუკი.

—არა, მუნწები არიან, შენ არ იცი.

—არ არიან მუნწები...

ვინ იცის, რითი გათავდებოდა ეს კამათი, რომ უცბად მურზილკა არ გამოჩენილიყო. მურზილკა ქაქანით მორბოდა და როცა ამხანაგებთან მივიდა, დიდხანს ვერ შესძლო ლაპარაკი.

—სთქვი, რა მოხდა? რა ნახე?—ეკითხებოდნენ ყოველ მხრიდან.

—ჰოი, რა ვნახე! რა ვნახე! რო იცოდეთ, რა ვნახე!—ამოიღო ბოლოს ხმა მურზილკამ.

—აბა რა, რა?

—დამაცადეთ, ხული მოვითქვა და გეტყვით... ახ, რა ტანისამოსი!

—აი,—დაიწყო ბურტყუნი სტუნიამ,—განა ეგ რამე ახრიანს იტყვის, მაგან მხოლოდ თავისი ტანისამოსი იცის.

—ვერ გამოიცანი! სულაც არ მინდოდა ტანისამოსზე ლაპარაკი, ეს სიტყვამ მოიტანა მარტო,—ამაყად მიუგო მურზილკამ.

—მაშ გვიამბე ღარა ჩქარა!—შეჰყვირა ყველამ ერთხმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ახლავე, ახლავე, დამაცადეთ ამოვისუნთქო. აბა, ხმენა იეოს და გაგონება! არ გამაწუვეტინოთ... მივდივარ ბაღში და ვეძებ ადგილს, სადაც უნდა დამესვენა. უცბად ვხედავ მოზრდილს მოედანს. ე-ე, ვფიქრობ, ნეტავი აქ რა უნდა იეოს-მეთქი. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ მაინც ვერას მივ-ხვდი. სიფრთხილეს თავი არა სტკივა-მეთქი, ვთქვი ჩემთვის და ბუჩქს უკან დავიმალე. ვუცდი, რა მოხდება. არ გასულა

ჯუჯა-კაცები თამაშობით ერთობოდნენ

დიდი ხანი, რომ მოვიდა რამდენიმე ახალგაზდა ქალი და ვაჟი, გაჭიმეს რაღაც ბადეები, შეიარაღდნენ ჰატარა ნიჩბებით და დაიწყეს ჰატარა ბურთების სროლა. „ბატონებო, — სთქვა ერთმა ვაჟმა,—ვისაც ლაუნ-ტენისის თამაშობა უნდა, მოვიდეს და აი აქ ჩემთან დადგეს!“ აა, გავიფიქრე ჩემთვის, მაშ ამ თამაშობას ლაუნ-ტენისი რქმევია. ამასობაში ვაჟებმა მოირბი-

ნეს. ეველას მშვენიერი ტანისამოსი ეცვა. როგორც ეტყობა და, ეს ტანისამოსი განგებ იყო შეკერილი ამ თამაშობისთვის. ფეხსაცმელიც თავისებური იყო.

—ალბად ისინი ისევ მოედანზე არიან, არიქა, გავიქცეთ ჩქარა!—გაიწუეტინა სწრაფიამ.

—მოიცადეთ, ჯერ არ გამითავებია!—უვიროდა მურზილკა, მაგრამ ჯუჯებს მოსწყინდათ მისი გაჭიანურებული მოთხრობა, სირბილით გაედევნენ სწრაფიას და მალე გაჩნდნენ ბატარა მოედანზე, სადაც დიდი საზოგადოება ის იყო ათავებდა თამაშობას. ჯუჯები გულმოდგინეთ თვალყურს ადევნებდნენ თამაშობას და როგორც კი მოთამაშენი წავიდნენ და დაჰყარეს სათამაშო იარაღი, სწრაფიამ მაშინვე წინადადება მისცა ამხანაგებს, მიებაძათ დიდებისთვის და მათაც ეთამაშათ ლაუნ-ტენისი.

—ვითამაშოთ, ახლავე ვითამაშოთ!—დასძახეს ერთხმად და მაშინვე შეუდგნენ ბადეების, ბურთების, ნიჩბების გადაზიდვას მოედნის მეორე მხარეს, სადაც მათი აზრით უფრო მოსახერხებელი იყო თამაშობა.

—მოიცადეთ, მოიცადეთ, მე ჯერ არ შემიძლიან თამაშობა, უნდა სათამაშო ტანისამოსი შევიკერო!—დაიძახა მურზილკამ.

—როგორ არა, ახლა შენ დაგიცდით! შეიკერე, თუ მოგწონს, ჩვენ კი ვითამაშებთ!—უპასუხეს მას.

ნაწყენი მურზილკა წავიდა და დიდხანს აღარ დანახვებია ძმებს. მან გახსნა ბოხჩა, ამოიღო იქიდან მეორე უფრო ბატარა ბოხჩა, სადაც ინახავდა ბარიზში მოგროვილ ჩვრებს, აარჩია ეველაზე უფრო ღია ფერის ნაჭრები და შეუდგა ტანისამოსის ჭრას. გამოსჭრა აგრეთვე ქუდი, ერთი წყვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაწაწა ფეხსაცმელი და ორი ქონდრის კაცის—ნემსიანი ბიბლიოთეკა მაფის დახმარებით შეიკერა მთელი ტანისამოსი.

—რა ლამაზი ვარ!—სთქვა, როდესაც ჩაიცვა ახალი ტანისამოსი.

იმ დროს, როდესაც მურზილკა ჩაკეტილში იჯდა და კერავდა, მოედანზე ერთი ჟრიამული იდგა: ჯუჯა-კაცები ახალი თამაშობით ერთობოდნენ და სიხარულისაგან სიცილით იხოცებოდნენ.



ვიცაიამ ბურთი ტუჩგრძელას სტეორცნა; იმან თავი ვერ შეიკავა, დაეცა და თან გაიყოლია არვიცაია, რომელმაც უცაბედათ ხელი ჭკრა ტრიალას. მწიგნობარი ბადის ქვეშ მოჭედა და ისე გაჭკიოდა თავისი წრაპინა ხმით, რომ არემარეს აურუებდა. მეორე ბადესთან ჩუმი-მისანი იწვა, ხოლო იმის წინ გაშხლართულიყო კაპასიკო.

—აი, მეც აქა ვარ!—გაისმა საერთო მსიარულების დროს მურზილკას წვრილი ხმა.

ჯუჯა-კაცებმა მოიხედეს და სიცილი დააყარეს გამოჭრაწჯულ მეგობარს.

—ჭო!-ჭო!-ჭო! ჭა! ჭა! ჭა! ჭი! ჭი! ჭი!—იცინოდნენ ჯუჯები და შეჭყურებდნენ მურზილკას უცნაურ ტანისამოსს.

—აი საფრთხობელა თუ გნებავთ, ეს არის! ჭა! ჭა! ჭა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ თითონა ხართ საფრთხობელები!—ეუბნებოდა ბუზღუნით მურზილკა, მე თქვენთან ლაპარაკიც-კი არა მსურს, თქვე ნაცარქექიებო, თქვენა!

მურზილკა მიბრუნდა წასასვლელად, მაგრამ ძმებმა დაუბრუნეს და სიტყვა მისცეს, აღარ დაგცინებთო. ექიმმა მაზ-ვერ-მაზმა მისი ქუდი და წკეპლა ჯოხზე დაჭიდა, რომ არავის დაეჭელიტა და დაემტვრია.

— ხტუნია, ხტუნიკო! მოდი ჩემთან, მარტო შენთან მინდა თამაშობა; შენ იხეთივე მარდი ხარ, როგორც მე'—იძახდა ამ დროს მურზილკა.

ნ. დიასამიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტყის ქათამი.

ვით სახელი ტყის ქათამი გვიჩვენებს, რომ ამ ფრინველს საცხოვრებლად ტყეები ამოურჩევია. მართლაც, მას უყვარს დაბურული ტყეები, სადაც მზის სხივები იშვიათად სწვდებიან. უყვარს აგრეთვე სიგრილე და ამიტომ ზაფხულში შევხვდებით ან ჩრდილოეთ ქვეყნებში ან სამხრეთით, მხოლოდ მაღლა მთებში.

ჩვენში ტყის ქათამი ბუდობს აბხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში და თრიალეთის მთებზე. ამას გარდა გაზაფხულზე მარტის განმავლობაში მრავალი ტყის ქათამი გაივლის ხოლმე საქართველოზე და მიემგზავრება ჩრდილოეთ ქვეყნებში. შემოდგომაზე, ოქტომბერში, როცა ტყის ქათამი ცივი ქვეყნებიდან სამხრეთში ბრუნდება, ნაწილი საზამთროთ დასავლეთ საქართველოში ბინავდება, ნაწილი-კი განაგრძობს გზას სპარსეთისაკენ, ინდოეთისკენ და სხვა ცხელ ქვეყნებისკენ. მგზავრობა უმთავრესად ღამე იცის.

როგორც ვსთქვით, ტყის ქათამს დაბურული ტყეები უყვარს. ამ ტყეებში გაზაფხულზე და ზაფხულში თავისი გრძელი ნისკარტით სველ მიწას სჩიჩქნის, მიწაში დაბუდებულ ჭიებს პოულობს და სჭამს. შემოდგომაზე და ზამთარში ჭიების გარდა ჩამოცვივნულ ფოთლებში მწერებს და მათ თესლს პოულობს. გაზაფხულზე და შემოდგომაზე ეს ფრინველი ჩვენ ბაღებსა და ვენახებს ეწვევა ხოლმე. უნდა ვსთქვათ, რომ ტყის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქათამი სასურველი სტუმარია, რადგანაც ბაღებსა და ვენახებს მავნე მწერებს აშორებს.

ბუდეს მიწაში იკეთებს, ამოღრმავებულ მიწაში ფოთლებს აგებს და დედალი ტყის ქათამი შიგ 4-5 ჟანგის ფერის და მიხაკის ფრად დაწინწკლულ კვერცხსა სდებს. ორ კვირა ნახევრის შემდეგ ბუმბულიანი და კარგად მოსიარულე ბარტყები იჩეკებიან. ერთი თვის განმავლობაში დედა არ შორდება შვილებს. ბარტყები დღისით უმოძრაოდ მიკუნტულნი არიან ფოთლებში ან ხის ძირას, მხოლოდ საღამოთი და გათენებისას საფარიდან გამოდიან და საჭმელს ეძებენ. ხშირად რაიმე საფრთხის დროს დედალი ფეხებით იტაცებს შვილს და გადაჰყავს უფრო მყუდრო ადგილას.

ტანად ტყის ქათამი გვრიტის ოდენაა. ნისკარტი გრძელი აქვს. ფერად რუხია, მხოლოდ მრავალი შავი და მიხაკის ფერი წინწკალი აყრია. საერთოდ მისი ფერი ძალიან წააგავს შემოდგომით ხეებიდან ჩამოცვივნულ ოთლების ფერს. ამის გამო იგი შეუმჩნეველია ფოთლებით მოფენილ მიწაზე. მაგრამ აღამიანს მისი გემრიელი ხორცი უყვარს, მეძებარი ძალლის საშუალებით ადვილად პოულობს და ჰკლავს.

პ. საყვარელიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელვა-ქუხილი.

ატარა დათიკო სოფლის სკოლაში დადიოდა. მისი სოფელი 5-6 ვერსით იყო დაშორებული სკოლას. ამისათვის ცუდ ამინდში მშობლები არ უშვებდნენ ხოლმე სკოლაში, კარგ ამინდში კი არ აკლდებოდა. იმ სოფლიდან სიშორის გამო სკოლაში სხვა არავინ დადიოდა.

მაისის კარგი ამინდი იყო, როდესაც დათიკო ჩვეულებრივ დროზე დაბრუნდა სკოლიდან. სკოლის ეზოშივე ამხანაგებმა უთხრეს დათიკოს:

—ეჰე, დათიკო, რამოდენა შავი ღრუბელი მოცურავს ცაზე. თუ წამოვიდა წვიმა, წყალში ამოვლებულ თაგვს დაგამ სგავსებს.

—ჩემი ჯავრი ნუ გაქვთ, დავსველდები, შაქარი ხომ არა ვარ, რომ დავდნე,—მიუგო დათიკომ და გასწია ჩქარის ნაბიჯით სახლისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლრუბელმა თანდათან იმატა, მთელი ცა დაჭვარა, ჩამოღამა. უცებ დაიელვა და ქუხილიც მიაყოლა. მსხვილ-მსხვილი წვეთები ეცემოდა დათიკოს, რომელმაც სირბილს მოუმატა. ელვა-ჭექამ და წვიმამ საშინლად უმატა, აქა-იქ სეტევაც გამოურია. დათიკო სახლს დაუახლოვდა და, რაც შეეძლო, მირბოდა.

ამ დროს დათიკოს დედ-მამა შეწუხებული გზას გაჭეურებდა: ეშინოდათ, დათიკოს სეტევამ არ მოასწროსო. როგორც-კი წვიმაში სეტევა გამოურია, დათიკოს მამამ დაავლო ჭილობს ხელი, გადაიფარა თავზე და გაიქცა იმ გზით, საიდანაც თავის შვილს მოელოდა. ბევრი არ გაუვლია, რომ დათიკო დაინახა. მივარდა, მოხვია ხელი, გადააფარა ჭილობი და ერთად გამოიქცნენ სახლისაკენ. სეტევა, ელვა-ქუხილი თან და თან უმატებდა. სრულიად გაწუწული მამა-შვილი შეგოვარდნენ სახლში. დედა სიხარულით გადაეხვია შვილს და გადაჭკოცნა.

—შვილო, რად დაიგვიანე? რომ შეატყე ამინდი იცვლებოდა, დავანებებდი სწავლას თავს და გამოვიქცეოდი სახლში.

—რა მიჭირს, დედა, გავიწუწე და გავშრები!—მიუგო და მიეფიცხა შუა ცეცხლს.

ამ დროს საშინლად დაიჭექა და კაკლის ოდენა სეტევა დაუშვა. დედამ ტირილი მორთო:

—შვილო, ახლა რომ გზაში ეოფილიყავი, რაღა მეშველებოდა, რა გადაგარჩენდა!

მამამ ამ დროს სწრაფად ჩამოიღო ქვაბის საკიდელი და შორს ეზოში გაისროლა, შემდეგ მონახა სახლში ცული, წალდი, ნაჯახი, თოხი და ესენიც გარედ ეზოში გადაყარა.

—მამა, რათ გაიტანე საქვაბე და იარაღი გარედ?—დაეკითხა გაკვირვებით დათიკო.

—იმიტომ, შვილო, საქვაბეს რომ გარეთ გაიტან, სეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევას გადაიღებს; მასთან ის წყეული ეშმაკი რკინეულს ეტანება და წმ. ილიაც ხომ ეშმაკს მისდევს, შესაძლებელია ის წყეული ჩვენ ხაქვაბესაც ან სხვა რკინეულხ მიაჯდეს, წმ. ილიამ აქ მოასწროს და ესროლოს; იმ წყეულსაც მოჰკლავს და ჩვენც დავიღუპებით.

მეორე დღეს დათიკომ, სასწავლებელში მისვლისათანავე, მასწავლებელს უამბო საქვაბის და სხვა რკინეულის ამბავი და დაეკითხა—მართალია თუ არა ის, რაც მამამ სთქვაო.

მასწავლებელმა შეიკვანა კლასში და სხვა მოსწავლეებთან ერთად აუხსნა, რომ მამა მისი ძალიან კარგად მოქცეულა, მნიშვნელობა ასეთი საქციელისა კი არა სცოდნიაო.

მან გასაგები ენით აუხსნა ელექტროს მნიშვნელობა, რომელიც ორთქლსა ჰგვგება დედამიწიდან მაღლა. ამ ორთქლში, რომელსაც ღრუბელს ვეძახით, ბლომად არის ელექტრო. ელექტრო ორნაირია—დადებითი და უარყოფითი. როცა ჰაერი გაცივდება, ღრუბლები შეიკუმშებიან, დამძიმდებიან, ერთი მეორეს უახლოვდებიან, მათში მყოფი ელექტროც ერთი მეორეს შეეჯახება, შეერთდება და ამ შეერთების დროს დიდ ხმას გამოსცემს, რომელსაც ჩვენ ქუხილს ვეძახით. ელექტრო ცვცხლს აჩენს ისე, როგორც ფოლადი და კაჟი ერთმანეთის მოხვედრით აჩენენ ცვცხლს. თუ ამისთანა ღრუბელი დედამიწის ჰირს მიუახლოვდა, მაშინ მასში მყოფი ელექტროც შეერთდება ისეთ საგანს, რომელშიაც მეტი ელექტრო იმყოფება. რკინაში სხვა საგანზე მეტია ეს ელექტრო, ხეებში-კი ყველაზე მეტი მუხაშია. ამისათვის ელვისა და ქუხილს დროს რკინა ახლო არ უნდა გააჩეროთ და მუხის ქვეშაც არ უნდა გაჩერდეთ, დაამთავრა მასწავლებელმა.

სკოლიდან რომ დაბრუნდა, დათიკომ მასწავლებლის ეს ახსნა-განმარტება უკლებლად გადასცა დედ-მამას, რომელთაც სიამოვნებით მოუსმინეს.

ყ. ჩხეიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული საბიბლიოთეკო
თბილისი
ეროვ. ბიბლიოთეკა

გასართობი*).

სურათების მოყვარული.

უნდა დაჰკიდოთ კედელზე სულ დაბლა ერთი სურათი. შემდეგ ამას ზედიზედ უნდა მიაყოლოთ სხვა სურათები თითქმის ჭერამდის.

ოთახში შემოდის პატარა კაცი მოსასხამით და ათვალიერებს სულ დაბლა დაკიდულ სურათს. პატარა კაცს ძალიან უყვარს სურათები და იგი თან და თან იზრდება, რომ სულ ზევით დაკიდული სურათი დაათვალიეროს. შემდეგ უცებ ისევ დაიწევს ძირითა სურათის „დასათვალიერებლად.

ზურგი, რასაკვირველია, მაყურებლებისკენა აქვს მიქცეული, ისინი ვერ ატყობენ, რომ ამისათვის საგანგებოდ მოწყობილ ჯოხით მოსასხამს ზევით სწევს და ყველანი გაკვირვებულნი არიან, როგორ მაღლდება და დაბლდება ეს კაცი.

შესაძლებელია განიერ პალტოს მაგიერ ნაბადი იხმაროთ. შეიძლება მოთამაშემ წვერი და ულვაში გაიკეთოს, ნილაბი ჩამოიფაროს და ცხოველების პატრონ ძალიანრად გამოაცხადოს თავი. ამ შემთხვევაში სხვა და სხვა ცხოველებს დაუძახებს.

ნიმუშები აქ არის დახატული.

*) იხ. „ნაკადული" 1920 წ., № 10.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1921 წელს

გამოვა საემაწვილო ჟურნალები მცირე-წლოვანთათვის

======= ყოველ ორ კვირაში =======

„ნაკადული"

და მოზრდილთათვის ყოველ თვე

„ჯეჯილი"

ჟურნალები უფასოდ დაურიგდებათ სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს.

მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

სარედაქციო კოლეგია | ან. წერეთელი.
ნ. ნაკაშიძე.
გ. ხაჭაპურიძე.

სახელმწიფო წიგნების გამომცემლობა.

ნ. დ. ს. ც. თბილისი, 1921 წ. ტირაჟი 4000